სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 1

ქ. თბილისი, 13.02.2025, 13 საათი,
თსუ I კორპუსი, აუდიტორია N 115

სხდომას ესწრებოდნენ:
თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები: აბაშიძე ზვიად, ბერულავა გიორგი, გელაშვილი სიმონ, დორეული ნანული, თვალთვაძე დარეჯან, ლომინაძე გიორგი, მაჭავარიანი ლია, მეძმარიაშვილი ელენე, ნადარაია ელიზბარ, პატარიძე დიმიტრი, შალიკაშვილი მორის, ქიტიაშვილი ანასტასია, ხუციშვილი ქეთევან, ჯავახიშვილი ნიკოლოზ, ჯობავა თამარ.
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ განმახორციელებელი პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები: ნინო ნახუცრიშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; ვლადიმერ ადეიშვილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი; მადონა მიქელაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სხდომის ჩატარებამდე მათთვის გაგზავნილი დღის წესრიგის პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მედიცინის ფაკულტეტმა სხდომის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე, მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს კორესპონდენციით (3031/32, 12.02.2025) 9 დოქტორანტისთვის (თამრიკო ძოწენიძე, რუსუდან დევაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, იოსებ ბეგაშვილი, მარიამ თევზაძე, თამარ ბაქრაძე, მარია ზუბიაშვილი, ციცინო აბაკელია, გულნარა აბაშიძე-გაბაიძე) დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ; ფაკულტეტის კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ მიმდინარეობს მათი საბუთების ხელახალი რევიზია პუბლიკაციების გადამოწმების მიზნით. მან ასევე აღნიშნა, რომ არასწორადაა წარმოდგენილი მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ თამარი ბარბაქაძის დოკუმენტაცია, რის შესახებაც ფაკულტეტს ზეპირსიტყვიერად ეცნობა. ქეთევან ხუციშვილმა, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სახეცვლილი დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის ერთობლივი საგანამანთლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ დოქტორანტ **ნინო პოპიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **მაგული ღამბაშიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ დოქტორანტ **მანონ ბოკუჩავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ დოქტორანტ **ნინო ხარებავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ **გიორგი ბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სოციოლოგია“ დოქტორანტ **ანა პაპიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
7. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ავთანდილ ლილუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
8. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კონფლიქტოლოგია“ დოქტორანტ **მარეხ დევიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
9. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ დოქტორანტ **გიორგი ლაბაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
10. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **მარიამი რევიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
11. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ოთარ სოსელიას** სადისერტაციო ნაშრომის მესამე რეცენზენტის დამტკიცება.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. ღია კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ დოქტორანტ **ნინო პოპიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა კახა გაბუნიამ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლების თავისებურებები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში (აფხაზური და ოსური ენების მაგალითზე)” - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის მიერ დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული 3 პუბლიკაციის შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 8-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 95 ქულით.
აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტი დისერტაციაში პრაქტიკიდან აღებულ მაგალითებს ეყრდნობა და შესწავლილია საკმაოდ აქტუალური საკითხი. ის მხარს უჭერს ნინო პოპიაშვილისთვის განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო პოპიაშვილისთვის** განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **მაგული ღამბაშიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა გიული შაბაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „მოდალური სემანტიკის გამოხატვა ძველ ქართულ ენაში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 10-დან 8 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 95 ქულით.

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ მაგული ღამბაშიძე მუდმივად მონაწილეობდა სამეცნიერო პროექტებში და ის წარმატებული ახალგაზრდა მკვლევარია. ის მხარს უჭერს დოქტორანტისთვის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაგული ღამბაშიძისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

3. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ დოქტორანტ **მანონ ბოკუჩავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორმა ნათია კუპრაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ოკუპირებული რეგიონის მედიის სარედაქციო პოლიტიკა“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-დან 5 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 82 ქულით.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავა დაინტერესდა დისერტაციის სამეცნიერო სიახლით.

მოისმინეს: ნათია კუპრაშვილმა აღნიშნა, რომ ოკუპირებული რეგიონების მედიის სარედაქციო პოლიტიკის საკითხები აქამდე არ ყოფილა შესწავლილი საქართველოში.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მანონ ბოკუჩავასთვის** მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

4. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია" დოქტორანტ **ნინო ხარებავას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა ლამზირა ლაღიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „მიწათსარგებლობის ცვლილება თბილისში - სივრცე-დროითი ანალიზი და ციფრული კარტოგრაფირება" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ყურადღება გაამახვილა დისერტაციის თემაზე დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული 3 პუბლიკაციის შესახებ; აღნიშნა, რომ მათ შორის 1 - დაბეჭდილია იმპაქტფაქტორიან ჟურნალში. ასევე აღნიშნა რეცენზენტების დადებითი რეცენზიები. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ხარებავასთვის** გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

5. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება" დოქტორანტ **გიორგი ბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა ზვიად აბაშიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ბიზნესელიტები საქართველოში (შრომითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია 2014-2023 წლებში)" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე.

დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-დან 5 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 86 ქულით.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავა დაინტერესდა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

მოისმინეს: ზვიად აბაშიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია გიორგი ბერიძის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ და აღნიშნა, რომ ყველა სტატია აკმაყოფილებდა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიორგი ბერიძისთვის** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

6. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სოციოლოგია“ დოქტორანტ **ანა პაპიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „აკადემიური სოციალური პასუხისმგებლობის კვლევა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში: ნორმატიული, ეთიკური და პრაქტიკული გზები” - დაცვის პროცედურის შესახებ; ყურადღება გაამახვილა სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებასა და აქტუალურობაზე; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-დან 5 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 92 ქულით.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ მადლიერება გამოხატა დოქტორანტის მიმართ ასეთი მნიშვნელოვანი ნაშრომის შესრულების გამო. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტს არა მხოლოდ პროფესიული, არამედ - სოციალური პასუხისმგებლობაც აქვს.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ანა პაპიაშვილისთვის** სოციოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

7. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ავთანდილ ლილუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „საპენსიო ფონდების განვითარება საქართველოში: პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კბილაძე - თსუ ასიტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი).

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

რეცენზენტები:

ა) არჩილ ცერცვაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ბ) ეკა ჩოხელი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) თეიმურაზ ბერიძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

გ) სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ნუგზარ თოდუა - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ე) ირაკლი კოვზანაძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ვ) ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ზ) დავით ნარმანია - თსუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

თ) ლევან საბაური - თსუ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ი) თამარ გამსახურდია - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

კ) ხათუნა ბარბაქაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ლ) ნატო კაკაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

მ) თეა კასრაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ) ლეილა ღუდუშაური - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ო) მიხეილ ჩიკვილაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

პ) ნათია კახნიაშვილი - თსუ ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.

8. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კონფლიქტოლოგია“ დოქტორანტ **მარეხ დევიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ორგანიზაციული კონფლიქტების პრევენცია ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის პიროვნებებთან“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი).

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

რეცენზენტები:

ა) მედეა დესპოტაშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი;

ბ) მარიამ ბანძელაძე - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ასოც. პროფესორი;

გ) სესილ ერტორერი - სოციოლოგიის დოქტორი, კანსიუსის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ია იაშვილი - გეოგრაფიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოც. პროფესორი;

ბ) გუგული მაღრაძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი;

გ) მარიამ გერსამია - მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი;

დ) იამზე კუტალაძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ე) ნათელა დონაძე - სოციოლოგიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოც. პროფესორი;

ვ) ფლორა ესებუა - სოციოლოგიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;

ზ) ია შეყრილაძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორი.

9. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ დოქტორანტ **გიორგი ლაბაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „პარტიული პოლიტიკის ფორმირება ადრეული რესპუბლიკის პერიოდში და მისი გამოძახილი თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ ბარნოვი - თსუ ასოცირებული პროფესორი).

აზრი გამოთქვა: დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

რეცენზენტები:

ა) თეიმურაზ პაპასქირი - ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

ბ) ნიკა ჩიტაძე - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ელენე მეძმარიაშვილი - ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

ბ) ანასტასია ზაქარიაძე - ფილოსოფიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

გ) ომარ არდაშელია - ისტორიის დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი;

დ) ზურაბ დავითაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი;

ე) ქეთევან როსტიაშვილი - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

ვ) დიმიტრი შველიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი;

ზ) ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი.

10. მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **მარიამი რევიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების თვითრეგულაციის ფსიქოლოგიური მექანიზმები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზია წერეთელი - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი).

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

რეცენზენტები:

ა) ია აფთარაშვილი - თსუ ასოც. პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ბ) ნონა ახალაშვილი - წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) თამარ გაგოშიძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) ლალი სურმანიძე - თსუ პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

გ) გუგული მაღრაძე - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

დ) ანასტასია ქიტიაშვილი - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ე) მანანა მელიქიშვილი - თსუ ასოც. პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ვ) მარინა ელბაქიძე - თსუ მოწვეული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ზ) დიმიტრი ნადირაშვილი - წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

თ) ხათუნა მარწყვიშვილი - თსუ პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;

ი) სოფიო თევდორაძე - თსუ ასისტენტ - პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი.

11. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ოთარ სოსელიას** სადისერტაციო ნაშრომის მესამე რეცენზენტი (თემა: „შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებები საქართველოს სამშენებლო სექტორში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნუგზარ პაიჭაძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი). ფაკულტეტის კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2 რეცენზენტიდან ერთმა უარყოფითი დასკვნა წარმოადგინა; შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭომ მესამე რეცენზენტი შეარჩია, რომელიც უნდა დაამტკიცოს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭომ.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის მესამე რეცენზენტი შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ ოთარ სოსელიას სადისერტაციო ნაშრომის მესამე რეცენზენტად საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი - ნაირა ღვედაშვილი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი
მორის შალიკაშვილი